

2023 წლის სამოქმედო გეგმის  
წლიური  
ანგარიში

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა მასტერკლასები პროგრამების მიხედვით - პირველ კვარტალში ჩატარდა 4 მასტერკლასი: კიკალა სტუდიოში (ფოტოგრაფიის პროგრამა), გურამ წიბახაშვილის სახელოსნოში (ფოტოგრაფიის პროგრამა), რეჟისორ ალექსანდრე ქორიძესთან (ტელერეჟისურის პროგრამა) და ფილოლოგ გიორგი მურღულიასთან (ჟურნალისტიკის მიმართულებით პროგრამებზე) .

ასევე, პროფესიული სტუდენტების ჩართულობით 2023 წლის 24 ნოემბერს თსუ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯში ქართულ-ამერიკული პროექტის მეხუთე ნაწილის პრეზენტაცია გაიმართა, რის ფარგლებშიც მოხდა პირველკურსელების მიერ მომზადებული სატელევიზიო ჟურნალის თემაზე "თბილისი ჩემი ქალაქია" ჩვენება.

პროექტს ხელმძღვანელობდნენ კოლეჯის და მისი პარტნიორი ამერიკული სკოლიდან მოწვეული ინსტრუქტორები. პარტნიორ ამერიკულ ორგანიზაციას წარმოადგენდა ლეონიდ მაზორი, Germantown High School Television -ის პროდიუსერი, რეჟისორი და სცენარისტი.

ასევე, 16 დეკემბერს, თსუ მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის ფოტოგრაფიის პროგრამის სტუდენტებს შეხვდა FIAP-ის (ფოტოგრაფიის მსოფლიო ასოციაციის) პრეზიდენტი რიკარდო ბუზი. FIAP-ის პრეზიდენტი საქართველოს პირველად ეწვია და აუდიტორიას წარუდგინა პრეზენტაცია FIAP-ის შესახებ და სტუდენტებს შესთავაზა FIAP-ის ორგანიზებულ სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა.

განხორციელდა შრომის უსაფრთხოების მომსახურე იურიდიული პირის შერჩევა - შრომის უსაფრთხოების საკითხებში მომსახურების გაწევის მიზნით პირველ კვარტალში გაფორდა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ“-თან. თუმცა მიმდინარე წლის შეიცვალა პარტნიორი და კოლეჯი 2023 წლის ოქტომბრიდან თანამშრომლობს შპს CONCEPT OF SEFITY-თან.

**წლის მანძილზე, სტანდარტული პერიოდულობით, ტარდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციები და ტრენინგები -** მიმდინარე წლის 7, 8 და 9 თებერვალს ჩატარდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, შეხვედრებზე განხილული იყო ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი გარემოებები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეწიათ რეკომენდაცია შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე შეხვედრაზე განხილული იყო კალენდარული გეგმის ფორმა და მის შევსებასთან დაკავშირებული საკითხები.

ეტაპობრივად მიმდინარეობს ინდივიდუალური კონსულტაციები იმ პროფესიულ მასწავლებლებთან, რომლებიც ამ ეტაპზე ახორციელებენ მოდულებს ან იწყებენ სწავლებას. წლის მანძილზე ზეპირსიტყვიერად ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია საკვალიფიკაციო პროგრამების განმახორციელებელ 50- ზე მეტ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

ასევე, 4 ტრენინგი ჩატარდა პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან პროგრამების სპეციფიკასთან, სწავლების და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით (5, 11, 13 და 14 სექტემბერს).

2023 წლის მანძილზე გახორციელდა დაინტერესებული სტუდენტებისთვის (8 სტუდენტი) ექსტრაკურსული პროექტის ფარგლებში **ბუნებრივი ხმაურების ჩაწერა - დამონტაჟება**.

კლუბი პარაშუტის ფარგლებში დაგემილი იყო **კოლეჯის კინოთეატრის შექმნა**, რომელშიც გაწევრიანებულები იქნებოდნენ კოლეჯის სტუდენტები. წლის მანძილზე შემუშავდა დებულება. 2023 წლის 1 მარტს კოლეჯის კინო-კლუბში მოეწყო ჩვენება ფილმის - "ატონალური გაბრწყინება" (რეჟისორი-ალექსანდრე ქორიძე).

კოლეჯმა მეოთხე კვარტალში შეიძინა დამატებითი ვიდეო პროექტორი და ასევე გეგმავს ექსტრაკურსული პროექტის აქტივობების კოორდინატორის კადრის დამატებას, რაც მისცემს საშუალებას სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმოს სტუდენტებისთვის 2024 წელს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო **სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, თანამშრომლების შეფასების სისტემის გადამუშავება** - მეტწილად განხორციელდა დოკუმენტების გადამუშავება და თანამშრომლების შეფასების პროცესი დასრულდა 2023 წლის 03 თებერვალს.

ასევე მოხდა **პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის განახლება** -

ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა აუდიო მოწყობილობებისა და აქსესუარების (მიკროფონები, ხმის მიქსერი, კომპრესორ-ლიმიტერი, დინამიკები) სახელმწიფო შესყიდვა. შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 8 თებერვალს, ხოლო მოწოდება განხორციელდა ეტაპობრივად 28 მარტს და 19 აპრილს. შეძენილი ტექნიკის ღირებულება შეადგენს 21330 ლარს. ამჟამადც მიმდინარეობს პროცედურები მრავალკამერიანი სატელევიზიო სისტემისთვის „კადრის გამეორების ბლოკის“ შექმნა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით (საორიენტაციო თანხა 12260 ლარი)

წლის მანძილზე საჭიროებიდან გამომდინარე ეტაპობრივად მიმდინარეობდა **პროფესიული პროგრამებისთვის ადამიანური რესურსის მოზილიზება** -

პროფესიული პროგრამებისთვის საჭირო კადრების მოკვლევა, მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულებების გაფორმება. მიმდინარე წლის აპრილში ხელშეკრულება გაფორმდა 3 პროფესიულ მასწავლებელთან, მაისში-1 პროფესიულ მასწავლებელთან და ივნისში- 1 პროფესიულ მასწავლებელთან. მიმდინარე წლის აგვისტოში წინასწარი ხელშეკრულება გაფორმდა 11 პროფესიულ მასწავლებელთან 4 მომზადების პროგრამის განხორციელების მიზნით. სექტემბერში გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება -1 პროფესიულ მასწავლებელთან მეოთხე კვარტალში კოლეჯმა გააფორმა 3 პროფესიულ მასწავლებელთან ხელშეკრულება. ჯამში წლის მანძილზე ხელშეკრულებები გაფორმდა 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

წლის მანძილზე აქტიურად განხორციელდა **PR აქტივობები მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით** - მიმდინარე წლის მარტიდან განხორციელდა არაერთი ღონისძიება:

20 მარტი- ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა ფოტოგრაფიის პროგრამის სტუდენტებს საკუთარ სახელოსნოში უმასპინძლა და ჩაუტარა მასტეკლასი

23 მარტი- პროფესიულ სტუდენტებთან საინტერესო შეხვედრა ჩაატარა ფილოლოგმა და ენათმეცნიერმა, გია მურდულიამ

29 მარტი- პროფესიულმა სტუდენტებმა მოამზადეს ვიდეო კოლეჯის პედაგოგზე, ფოტოგრაფიური მეჩითოვზე, რომელიც პროფესიის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად

აპრილი-მაისი- ჩატარდა პროფორიენტაციის შეხვედრები რუსთავის და მცხეთის სკოლების (ჯამში 23 სკოლა) დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან.

23 მაისი- ჩატარდა 87-ე სკოლის მოსწავლეების ტური კოლეჯში, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა დაეთვალიერებიათ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, გაეცნენ პროფესიულ პროგრამებს, ასევე სცადეს სუფლიორთან ტექსტის ჩაწერა.

26 მაისის აღნიშვნა ქალაქ გორში. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული მოდულების ფარგლებში გაემგზავრნენ ქალაქ გორში, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფოტო და ვიდეო გადაღებები აწარმოეს.

30 მაისი- სცენარისტ ირაკლი კაკაბაძესთან გაიმართა სტუდენტების შეხვედრა, რომელზეც მოწვეულმა სტუმარმა გაუზიარა სატელევიზიო სივრცეში პროფესიული გამოცდილება.

22 მაისიდან კოლეჯის სოციალურ ქსელებში დაიწყო კამპანია, რომელიც მიზანად ისახავს პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციას და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. განთავსდა კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისა და წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ პოსტერები. ასევე, ფეისბუქის პლატფორმაზე გაეშვა პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის დაწყების შესახებ რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სამიზნე აუდიტორიის მოზიდვას.

29 ივნისი-კოლეჯში ჩატარდა ღია კარის დღე, რომელსაც ესწრებოდნენ აპლიკანტები. პროგრამის ხელმძღვანელებმა მათ მიაწოდეს ინფორმაცია პროფესიული პროგრამების, სასწავლო პროცესის და შესარჩევი ეტაპების შესახებ.

23,24,25 ივნისი- ფოტოგრაფიის პროგრამის სტუდენტები დაესწრნენ „Tbilisi open air“-ის მუსიკალურ ფესტივალს და გადაიღეს ფოტორეპორტაჟი

პროგრამების მიხედვით რეგისტრირებულ პირთა საბოლოო რიცხვია:

- 1) ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება- 83 (გამოცხადებული ადგილები 5)
- 2) ტელერეჟისურა- 83 (გამოცხადებული ადგილები 7)
- 3) ფოტოგრაფია -299 (გამოცხადებული ადგილები 27)
- 4) რეპორტიორი- 56 (გამოცხადებული ადგილები 14)
- 5) ტელე-რადიოწამყვანი -71 (გამოცხადებული ადგილები 15)
- 6) ვიდეომონტაჟი- 124 (გამოცხადებული ადგილები 7)
- 7) სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა- 94 (გამოცხადებული ადგილები 9)

პროფესიული მომზადების 4 მომზადების პროგრამის მსმენელთა მოსაზიდად სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში (საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზია და რადიო, BMG-TV, რადიო კომერსანტი) კოლეჯის დირექტორმა მიიღო მონაწილეობა, ასევე, კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციების ვებ გვერდით და სოციალური ქსელით განთავსდა სარეკლამო განცხადებები.

2023 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა სამი პროექტი აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე - 812/2022, 107/2023, 12061/2023. ხელშეკრულების საგანი მდგომარეობდა შემდეგში, რომ კოლეჯს ჰქონდა ვალდებულება განეხორციელებინა სამშენებლო ობიექტებზე გადაღება და ვიდეოების მომზადება. სამივე პროდუქტი წარმატებით ჩაბარდა დამკვეთს.

ასევე, კოლეჯმა განახორციელა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი - „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებში მომზადდა 8 ერთეული ვიდეო რგოლი სომხური და აზერბაიჯანული ტიტრებით და სადიქტორო უზრუნველყოფით.

ასევე, ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შემუშავებულია მოკლევადიანი ფოტოგრაფიის ფასიანი კურსი, რომლითაც დაიგემა შპს ევროპული სკოლას 15 ან 30 მოსწავლის მომზადება დეკემბრის ბოლომდე მიმდინარეობდა რეგისტრაცია და სავარაუდოდ იანვარში დაიწყება სასწავლო პროცესი.

კოლეჯმა პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით შეიმუშავა **ზრდასრულთა მოკლევადიანი სასერტიფიკატო სასწავლო კურსები** -

USAID-ის პროგრამის "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" პროექტი "პარტნიორობა პროფესიების განვითარებისთვის" ფარგლებში შეიმუშავდა 4 (ოთხი) მომზადების პროგრამა:

1. კონტენტის შემქმნელი
2. სარეკლამო ფოტოგრაფია
3. განათების ტექნიკოსი
4. ხმის ოპერატორი

პროგრამებზე სასაწავლო პროცესი დეკემბერში დაიწყო და 24 კვირაში დასრულდება.

**სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო საერთაშორისო პარტნიორების მოძიება /იდენტიფიცირება** - გაფორმდა 2 საერთაშორისო პარტნიორთან მემორანდუმი:

1. აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმი გაფორმებულია 2023 წლის 20 ივნისს. მემორანდუმი მოქმედებს უვადოდ.
2. ხარკოვის კულტურის სახელმწიფო აკადემიასთან მემორანდუმი გაფორმებულია 2023 წლის 21 ივნისს. მემორანდუმი მოქმედებს უვადოდ.
3. ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტთან მემორანდუმი გაფორმებულია 2023 წლის 12 სექტემბერს. მემორანდუმი მოქმედებს უვადოდ.

**საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის მიერ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გამოვლენილი შენიშვნების აღმოფხვრისთვის** -

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ კოლეჯის შენობის (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68, IV სართული) დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე №161 ზედამხედველობის მიწერილობაში მოცემული ღონისძიებების შესასრულებლად მომზადდა სრული საპროექტო-სახანრჯთადრიცხვო დოკუმენტაცია.

კოლეჯი აქტიურად მუშაობს **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვისთვის** და იანვრის ბოლოს დასრულდება სარემონტო სამუშაოები ამ მიმართულებით. ასევე აღნიშნა დირექტორმა, რომ მიმდინარე წლის 22 დეკემბერს მეოთხე განაცხადი გაკეთებულია მერიაში სართულის საევაკუაციო კიბის გასაკეთებლად ნებართვისთვის.

მიმდინარეობს საწარმო დეპარტამენტის სტრუქტურული გადაწყობა - საწარმოო დეპარტამენტის მენეჯერის არ ყოლის გამო ვერ განხორციელდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა- **სტუდენტური კლუბის „პარამუტი“ ფარგლებში წლიური გეგმის შემუშავება**, რის გამოც საწარმოო დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ასევე, ვერ მოხერხდა 2023 წლის ბოლომდე, **ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგის შესყიდვა და დანეგვა** ვინაიდან კოლეჯის ვებ გვერდი მისი მოცულობის გაზრდის მიზნით უნდა გადატანილიყო EMIS-ის დომეინზე, სივრცე არ იძლეოდა OPEN BIBLIO-S ჩაშენების შესაძლებლობას და საბიბლიოთეკო კატალოგის ჩაშენება დაიგეგმა 2024 იანვრიდან კოლეჯის ფინანსური რესურსის შესაბამისად.